ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 12-032313560-03
თარიღი: 15.05.2023 15:09
ვადა: 15.06.2023

## განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01231351981 განცხადების თარიღი: 15.05.2023
ხელმომწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

---

## განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

---

## მოთხოვნის ტექსტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის □ 17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

---

## დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 12-032313560-03
15.05.2023 : 15:09
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: **01-01231351981**
თარიღი: **15/05/2023**

**ადრესატი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**მისამართი:** თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოგიდგენთ: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს, აგრეთვე ზემოაღნიშნული მარშრუტების დადგენისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 11 მაისის №23.660.739 განკარგულებას.

დანართი: 376 ფურცელი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

**განკარგულება - N 23.660.739**
**11 / მაისი / 2023 წ.**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დადგენისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის „ე.დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. დადგინდეს:
ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტები, დანართი 1-ის შესაბამისად;
ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების განრიგი, დანართი 2-ის შესაბამისად;
გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მიერ მარშრუტებზე თვის განმავლობაში გასავლელი კილომეტრი, დანართი 3-ის შესაბამისად.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, წარედგინოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თანდართული პროექტი.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი — კახა კალაძე

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დადგენისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე"

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დღის წესრიგში დადგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა და მასთან ერთად კონკრეტული მარშრუტების მოძრაობაში გარკვეული კორექტივების განხორციელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დანართი 1-ის შენიშვნის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიენიჭა უფლებამოსილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს ამ მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, დროებითი ღონისძიების სახით:

- ამოქმედებულ იქნა $M_2$ კატეგორიის ავტობუსის ახალი №445 მარშრუტი: ბარონ დე ბაის ქუჩა №77 (მიმდებარედ) - ბარონ დე ბაის ქ. - ნიკო ბურის ქ. - ნესტან დარეჯანის ქ. - ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქ. - ავთანდილის ქ. - ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქ. - დავით აღმაშენებლის ხეივანი - გრიგოლ რობაქიძის გამზირი - აკაკი წერეთლის გამზირი - ტრანსპორტის ქ. - მ/ს "დიდუბე (ქვედა) - ტრანსპორტის ქ. - აკაკი წერეთლის გამზირი - გრიგოლ რობაქიძის გამზირი - დავით აღმაშენებლის ხეივანი (მობრუნება ტოიოტას ცენტრის მიმდებარედ) - ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქ. - ავთანდილის ქ. - ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქ. - ნესტან დარეჯანის ქ. - ნიკო ბურის ქ. - ბარონ დე ბაის ქ. - ბარონ დე ბაის ქუჩა №77 (მიმდებარედ). აღნიშნულ მარშრუტზე გათვალისწინებული იქნა 5 (ხუთი) ერთეული მოძრავი შემადგენლობა. პიკური ინტერვალი სამუშაო დღეზე დაიგეგმა 12 წთ;

- №464 მარშრუტს, რომელიც ლეოპოლდ ბილფელდის ქუჩიდან მოძრაობდა გიორგი სააკაძის მოედნამდე, მოძრაობა გაუგრძელდა სადგურის მოედნამდე. ამასთან, დაემატა 2 (ორი) მოძრავი შემადგენლობა;

- №№402,404,410,411,412,420,425,427,438,440,441,443,447,457,463,481,482,483,497,498,503,513,514,515,549,552,558 მარშრუტებს, მათზე დღის განმავლობაში არსებული მგზავრთნაკადებიდან გამომდინარე, დაუკორექტირდათ მოძრაობის ინტერვალები;

- №№401,403,405,406,407,413,414,415,417,418,420,422,427,429,432,433,434,435,437,439,440,442,443,444,448,453,455,456,459,463,464,467,470,471,473,474,475,476,479,480,493,494,495,496,499,505,506,508,509,510,511,518,520,526,527,530,535,537,542,548,558 მარშრუტებზე, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, არსებული მგზავრთნაკადებიდან გამომდინარე, საჭიროა გადაყვანილ იქნას წრიულ მოძრაობაზე.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეულ ქუჩებს და გამზირებს შეეცვალათ სახელდებები, შესაბამისი ცვლილებები შევიდა იმ მარშრუტებში, რომლებსაც თავიანთ გზასავალზე უხდებათ შეცვლილ გზებზე მოძრაობა, კერძოდ:

- ქინძმარაულის შესახვევს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ზურაბ იარაჯულის ქუჩა;

- კახეთის შესახვევს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ოდისეი დიმიტრიადის ქუჩა;
- კონსტიტუციის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია გია ყანჩელის ქუჩა;
- ჭირნახულის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია დავით კობახიძის ქუჩა;
- თევდორე უშაკოვის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია გიორგი ღვინიაშვილის ქუჩა;
- დავით სარაჯიშვილის გამზირს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია დავით სარაჯიშვილის ქუჩა;
- მერაბ კოსტავას ქუჩას (გმირთა მოედნიდან გიორგი სააკაძის მოედნამდე) გადაერქვა და ამჟამად ჰქვია კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი.

სრულად ჩაიწერა მარშრუტებზე უკუ მიმართულების გზასავალი.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების დანართი 1-ის შენიშვნის პირველი პუნქტის გათვალისწინებით მ/ს „ახმეტელის თეატრიდან" „თბილისი მოლის" მიმართულებით ამოქმედდა $M_3$ კატეგორიის №292 მარშრუტი (აღნიშნული ცვლილება ასახულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტში), რომელმაც სრულად გადაფარა $M_2$ კატეგორიის №500 მარშრუტი, საჭირო გახდა აღნიშნული მარშრუტი ამოღებულ იქნას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დანართები 1,2 და 3-დან.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შემუშავდა განკარგულების პროექტის დანართით წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი.

**ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

განკარგულების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

**გ) პროექტის ავტორი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.

**დ) პროექტის წარმდგენი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი ვიქტორ წილოსანი.

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“**

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის**

**განმარტებითი ბარათი**

**ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დღის წესრიგში დადგა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა და მასთან ერთად კონკრეტული მარშრუტების მოძრაობაში გარკვეული კორექტივების განხორციელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს შემდეგს: მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დანართი 1-ის შენიშვნის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიენიჭა უფლებამოსილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს ამ მარშრუტების კორექტირება ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე ჩართული ავტობუსების რაოდენობაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, დროებითი ღონისძიების სახით:

- ამოქმედებულ იქნა $M_2$ კატეგორიის ავტობუსის ახალი №445 მარშრუტი: ბარონ დე ბაის ქუჩა №77 (მიმდებარედ) - ბარონ დე ბაის ქ. - ნიკო ბურის ქ. - ნესტან დარეჯანის ქ. - ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქ. - ავთანდილის ქ. - ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქ. - დავით აღმაშენებლის ხეივანი - გრიგოლ რობაქიძის გამზირი - აკაკი წერეთლის გამზირი - ტრანსპორტის ქ. - მ/ს "დიდუბე (ქვედა) - ტრანსპორტის ქ. - აკაკი წერეთლის გამზირი - გრიგოლ რობაქიძის გამზირი - დავით აღმაშენებლის ხეივანი (მობრუნება ტოიოტას ცენტრის მიმდებარედ) - ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქ. - ავთანდილის ქ. - ნინო აბაშიძე-ორბელიანის ქ. - ნესტან დარეჯანის ქ. - ნიკო ბურის ქ. - ბარონ დე ბაის ქ. - ბარონ დე ბაის ქუჩა №77 (მიმდებარედ). აღნიშნულ მარშრუტზე გათვალისწინებული იქნა 5 (ხუთი) ერთეული მოძრავი შემადგენლობა. პიკური ინტერვალი სამუშაო დღეზე დაიგეგმა 12 წთ;
- №464 მარშრუტს, რომელიც ლეოპოლდ ბილფელდის ქუჩიდან მოძრაობდა გიორგი სააკაძის მოედნამდე, მოძრაობა გაუგრძელდა სადგურის მოედნამდე. ამასთან, დაემატა 2 (ორი) მოძრავი შემადგენლობა;
- №№402,404,410,411,412,420,425,427,438,440,441,443,447,457,463,481,482,483,497,498,503,513,514,515, 549,552,558 მარშრუტებს, მათზე დღის განმავლობაში არსებული მგზავრთნაკადებიდან გამომდინარე, დაუკორექტირდათ მოძრაობის ინტერვალები;
- №№401,403,405,406,407,413,414,415,417,418,420,422,427,429,432,433,434,435,437,439,440,442,443,444, 448,453,455,456,459,463,464,467,470,471,473,474,475,476,479,480,493,494,495,496,499,505,506,508,509, 510,511,518,520,526,527,530,535,537,542,548,558 მარშრუტებზე, მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, არსებული მგზავრთნაკადებიდან გამომდინარე, საჭიროა გადაყვანილ იქნას წრიულ მოძრაობაზე.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეულ ქუჩებს და გამზირებს შეეცვალათ სახელდებები, შესაბამისი ცვლილებები შევიდა იმ მარშრუტებში, რომლებსაც თავიანთ გზასავალზე უხდებათ შეცვლილ გზებზე მოძრაობა, კერძოდ:

- ქინმმარაულის შესახვევს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ზურაბ იარაჯულის ქუჩა;
- კახეთის შესახვევს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ოდისეი დიმიტრიადის ქუჩა;
- კონსტიტუციის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია გია ყანჩელის ქუჩა;
- ჭირნახულის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია დავით კობახიძის ქუჩა;
- თევდორე უშაკოვის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია გიორგი ღვინიაშვილის ქუჩა;
- დავით სარაჯიშვილის გამზირს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია დავით სარაჯიშვილის ქუჩა;
- მერაბ კოსტავას ქუჩას (გმირთა მოედნიდან გიორგი სააკაძის მოედნამდე) გადაერქვა და ამჟამად ჰქვია კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი.

სრულად ჩაიწერა მარშრუტებზე უკუ მიმართულების გზასავალი.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების დანართი 1-ის შენიშვნის პირველი პუნქტის გათვალისწინებით მ/ს „ახმეტელის თეატრიდან“ „თბილისი მოლის“ მიმართულებით ამოქმედდა $M_3$ კატეგორიის №292 მარშრუტი (აღნიშნული ცვლილება ასახულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_3$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტში), რომელმაც სრულად გადაფარა $M_2$ კატეგორიის №500 მარშრუტი, საჭირო გახდა აღნიშნული მარშრუტი ამოღებულ იქნას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დანართები 1,2 და 3-დან.

**ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

**გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

**დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):**

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

**ე) პროექტის ავტორი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

**ვ) პროექტის წარმდგენი:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტი

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება №

**2023 წლის --- ----------------** **ქ. თბილისი**

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1.**

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: (www.matsne.gov.ge), 16/12/2014, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016051) და დადგენილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 11 მაისის №23.660.739 განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტები, დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 11 მაისის №23.660.739 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მარშრუტების განრიგი, დანართი 2-ის შესაბამისად;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 11 მაისის №23.660.739 განკარგულების პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართვის უზრუნველსაყოფად ავტობუსების ($M_2$ კატეგორია) მიერ მარშრუტებზე თვის განმავლობაში გასავლელი კილომეტრი, დანართი 3-ის შესაბამისად.“

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე